Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 8 Issue 3, 2026
https://doi.org/10.52340/gs.2026.08.03.18

კაპიტნის როლი საზღვაო იერარქიაში

მედეა იმნაძე

PhD, ასისტენტ პროფესორი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

აბსტრაქტი:

ნაშრომი ეძღვნება კაპიტნის როლისა და სტატუსის შესწავლას საზღვაო იერარქიაში. საზღვაო სფეროში კაპიტანი არის გემის უმაღლესი პასუხისმგებელი თანამდებობის პირი, რომლის პროფესიული საქმიანობა დაკავშირებულია გემის უსაფრთხო მართვასთან, ეკიპაჟის ხელმძღვანელობასთან და გადაწყვეტილებების მიღების პასუხისმგებლობასთან. კვლევის მიზანია კაპიტნის ძირითადი ფუნქციების, უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების დადგენა საზღვაო იერარქიულ სისტემაში და მისი როლის განხილვა პროფესიული კომუნიკაციისა და ეკიპაჟის ურთიერთობების კონტექსტში. კვლევა ეფუძნება საზღვაო სფეროში არსებული მარეგულირებელი და პროფესიული დოკუმენტების ანალიზს, ასევე საზღვაო დისკურსის შესაბამის მასალას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კაპიტნის ხელმძღვანელობის ფუნქციას, ბრძანებების გაცემის უფლებამოსილებას, ეკიპაჟის საქმიანობის კოორდინაციას და კრიტიკულ სიტუაციებში გადაწყვეტილების მიღებას. კვლევა აჩვენებს, რომ კაპიტნის როლი არ შემოიფარგლება მხოლოდ ადმინისტრაციული და პროფესიული ფუნქციებით და დიდწილად განსაზღვრავს გემზე იერარქიული ურთიერთობების, დისციპლინისა და ეფექტური პროფესიული კომუნიკაციის ჩამოყალიბებას.

საკვანძო სიტყვები: კაპიტანი; საზღვაო კომუნიკაცია; ლიდერობა; ბრძანება; პასუხისმგებლობა.

შესავალი

იერარქია არის უფრო დაბალი ელემენტების უფრო მაღალ ელემენტებზე დაქვემდებარების რიგი, რომლის დროსაც სისტემის ნაწილები განლაგებულია მათი მნიშვნელობის ან უფროსობის მიხედვით, უდიდესიდან ყველაზე მცირემდე. სიტყვა

ბერძნულიდან მომდინარეობს და ნიშნავს „წმინდა ავტორიტეტს“. ეს სტრუქტურა პირამიდას წააგავს, სადაც ზედა დონე მართავს ქვედას. იერარქიები დომინირებისა და დაქვემდებარების ურთიერთობებია, ვერტიკალური სამეთაურო სტრუქტურები, რომლებშიც დაბალი რანგის წარმომადგენლები ემორჩილებიან მაღალი რანგის წარმომადგენლებს. იერარქია აგებულია სახელმძღვანელო რეკომენდაციების პრინციპების ერთობლიობაზე, რომელიც ეხმარება საქმიანობის ორგანიზებაში.

კონცეპტი არის ადამიანის გონებაში ჩამოყალიბებული აზრობრივი წარმოდგენა,იდეა რაიმე საგნის, მოვლენის, პიროვნების ან ცნების შესახებ თვით ცნება კი გონებაში არსებული ზოგადი ლოგიკური წარმოდგენაა საგანზე ან მოვლენაზე.ლინგვოკულტუროლოგიაში კონცეპტი მოიცავს ობიექტების სიმრავლეს, რომლებიც მის შინაარსში მოიაზრება, ხოლო შინაარსი კი აფიქსირებს მოცემული კლასის ობიექტების ძაირითად ნიშან-თვისებებს. კონცეპტის მოცულობა და შინაარსი დამოკიდებულია ინდივიდის კოგნიტურ გამოცდილებებზე და განისაზღვრება ცხოვრების პირობებით კულტურით და ა.შ., მაგ: კონცეპტი ხუთი-ექვსი წლის ბიჭუნასი, რომელიც ხშირად სიამოვნებით თამაშობს თანატოლებთან ერთად კაპიტნობანას, კარდინალურად განსხვავდება ზრდასრული, უკვე დიპლომირებული მეზღვაურის კონცეპტისაგან. ამავე დროს, “გაგება“ განსხვავდება „კონცეპტისაგან“ თავისი უნივერსალურობით.

დისკუსია:

„კაპიტანი“- გაგების ქვეშ იგულისხმება სახმელეთო ან საზღვაო ოფიცერი, რომელიც ძალიან კარგად აღიქმება საზღვაო ქალაქებში მცხოვრებთათვის,ხოლო დამოკიდებულება კი - რათქმა უნდა სხვადასხვაგვარია სხვადასხვა ქვეყნებსა თუ ქალაქებში მცხოვრებთა მხრიდან ცოდნის, წარმოდგენების, ემოციების, ღირებულებების და კულტურული ასოციაციების შედეგია.

იმ ქვეყნებში, სადაც არის ზღვა, ოკეანე, დიდი სანაოსნო მდინარე -კაპიტანი აღიქმება საპორტო ქალაქისთვის დამახასიათებელ ატრიბუტად-თანამდებობის პირად:

-როგორც გემის ხელმძღვანელი;

-დამატებითი წარმოდგენები: პასუხისმგებლობა, ავტორიტეტი, ძალაუფლება, ლიდერობა, გამოცდილება;

-კულტურული ასოციაციები-ზღვა, მოგზაურობა, საფრთხე, ბრძანება და ა.შ.

იქ კი სადაც არ არის ზღვა „კაპიტანი“ ასოცირდება საჰაერო ლაინერის მეთაურად,, სპორტული გუნდის მეთაურად, ან კიდევ რაღაც აბსტრაქტულ პიროვნებად ან თანამდებობად ფილმიდან,მოსმენილი ტექსტიდან ან წაკითხული წიგნიდან.

ზოგიერთისთვის კი უბრალოდ ეგზოტიკური პროფესიაა, ლამაზი ფორმით, თვალწინ გადაშლილი ულამაზესი და უკიდეგანო ბუნების სივრცით; ზოგში ეს პროფესია შიშსაც კი იწვევს, წყლის მიმართ შიშის გამო, ხმელეთთან და ოჯახთან განშორების გამო; ზოგისთვისაც კი სოციალური და ეკონომიკური ყოფიდან გამომდინარე შესაძლებლობების სრულყოფილების, უზრუნველყოფილი ცხოვრების სიმბოლოა, რომლის მისაღწევად დიდი ნებისყოფა, გამძლეობა და შრომაა საჭირო.

საკმაოდ ხანგრძლივი გზაა გასავლელი კურსანტობიდან კაპიტნობამდე. სწავლისავე პერიოდში უნდა ჩაეყაროს საფუძველი კაპიტნის პროფესიონალიზმს. კურსანტმა მაღალ დონეზე უნდა შეისწავლოს ნავიგაცია, ასტრონომია, ფიზიკა, მათემატიკა, გეოგრაფია, ინგლისური, საერთაშორისო, საზღვაო სამართალი და სხვ. და ეს ყველაფერი თავს მოიყრის ერთ პიროვნებაში, რომელსაც კაპიტანი ერქმევა.

როგორც კი გახდება მეზღვაური, უნდა შეეჩვიოს არა მხოლოდ იმ განსაკუთრებულ სამყაროს, რომელშიც აღმოჩნდება, არამედ გემსაც, ფოლადის დიდ ნაჭერს, რომელიც აღჭურვილია მანქანა-დანადგარებით, სხვადასხვა ელექტრო მოწყობილობებით, მილგაყვანილობებით, ამწე-კრანებით. უნდა შეეჩვიოს მუდამ ცვალებად ოკეანეს, უამინდობას, რომელსაც ვერ გაუწევს იგნორირებას ისე და ვერ უარყოფს, როგორც ხმელეთზე დარჩენილები, უნდა შეეჩვიოს იმ კულტურების წარმომადგენელთა წრეს, სადაც თითოეულის ადგილი და მოვალეობანი მკაცრადაა განსაზღვრული თანამდებობებით, რეგულაციებით და ინსტრუქციებით.

გემზე ზუსტადაა განსაზღვრული თუ ვინ არის ვინ - და ეს გემის ეკიპაჟია.

გემის სახით სახელმწიფოს ხმელეთის დიდი ნაწილი წყდება ნაპირს და იწყებს ცურვას ოკეანესა თუ ზღვაში. ხმელეთის ამ ნაწილზე კი აუცილებელი ხდება პიროვნების შერჩევა, რომელიც კანონების და წესების დაცვით მართავს გემს. ეს ადამიანი კი-კაპიტანია.

როგორც ვიცით გემზე ორი ძირითადი დეპარტამენტია საგემბანე და სამანქანე, გემზე უმაღლესი რანგის პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს კაპიტანი (The Master/The Captain). იგი პასუხს აგებს გემზე, გემის ტვირთზე და ეკიპაჟზე და ანგარიშვალდებულია გემთმფლობელთან.

საგემბანე განყოფილება (Deck Department)

- კაპიტნის უფროსი თანაშემწე (Chief Officer / Chief Mate);
- კაპიტნის მეორე თანაშემწე (Second Officer);
- კაპიტნის მესამე თანაშემწე (Third Officer);
- ბოცმანი (Boatswain / Bosun);
- მატროსები (გამოცდილების მქონე პირველი კლასის მატროსი Able Seaman/დამწყები მატროსი Ordinary Seaman);

- კადეტი/პრაქტიკანტი (Deck Cadet).

სამანქანე განყოფილება (Engine Department)

- უფროსი ინჟინერ-მექანიკოსი (Chief Engineer);
- მეორე ინჟინერ- მექანიკოსი/პირველი ასისტენტ- მექანიკოსი (Second Engineer/First Assistant Engineer);
- მესამე ინჟინერ-მექანიკოსი/მეორე ასისტენტ -მექანიკოსი (Third Engineer/Second Assistant Engineer);
- მეოთხე ინჟინერ-მექანიკოსი/მესამე ასისტენტ-მექანიკოსი (Fourth Engineer/Third Assistant Engineer);
- ელექტრომექანიკოსი (Electrical Engineer);
- მოტორისტი (Motorman).

ასევე დამხმარე პერსონალი (Catering Department)

კაპიტნის სიტყვა სავაჭრო თუ სამხედრო გემზე კანონია. ყველა განკარგულება ნაპირიდან გამოსული (shore-to-ship) გადაეცემა კაპიტანს. კაპიტანი უზრუნველყოფს უსაფრთხო ნავიგაციას, ტვირთის უსაფრთხო გადაზიდვას, იგი ორგანიზებას უკეთებს ავარიულ, სამაშველო სამუშაოებს. აკონტროლებს ეკიპაჟის წევრების აყვანას, კანონი აძლევს მას უფლებას საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს საეჭვო ადამიანის იზოლაცია, ან წაახალისოს მეზღვაური, ან უსაყვედუროს კიდეც.

გემის უბედურების სიგნალის (Distress signal) შემთხვევაში ის ხელმძღვანელობს გემის გადარჩენას, ორგანიზებას უწევს სამაშველო ოპერაციას, რადიოთი გადასცემს საფრთხის კოორდინატებს და იღებს ყველა ზომას ეკიპაჟისა და მგზავრების გადასარჩენად.

კაპიტნის ბრძანებები, მისი უფლებამოსილების ფარგლებში, სავალდებულოა ბორტზე მყოფი ყველა პირისთვის;

კაპიტნის ქმედებები დამოკიდებულია იმაზე, მისი გემი გასაჭირშია თუ სიგნალი სხვა გემიდან არის მიღებული. თუ სიგნალი თავისივე გემიდან არის მიღებული, აცხადებს გემის განგაშს და იღებს ხიდზე სარდლობას.

SOS გადაცემა: აკონტროლებს GMDSS განგაშის სიგნალის გადაცემას ზუსტი კოორდინატებით.

კაპიტნის ბრძანებები ზოგადი განგაშის დროს:

Sound the general signal- ჩართეთ საერთო განგაში;

Muster all crew - შეკრიბეთ მთელი ეკიპაჟი;

Take your emergency equipment - აიღეთ საგანგებო აღჭურვილობა;

Proceed to your muster stations - გაემართეთ თქვენი შეკრების ადგილებზე;

Check the crew list - შეამოწმეთ ეკიპაჟის სია;

Report the situation to the bridge - შეატყობინეთ სიტუაციის შესახებ ხიდს;

Maintain communication to the bridge - შეინარჩუნეთ კავშირი ხიდთან;

Stand by for the Further orders - დაელოდეთ შემდგომ ბრძანებებს.

ხანძრის დროს გასცემს შემდეგ ბრძანებებს:

Raise the fire alarm - გამოაცხადეთ ხანძრის განგაში;

Report the location of the fire - აცნობეთ ხანძრის ადგილმდებარეობა;

Close all fire doors - დახურეთ ყველა სახანძრო კარი;

Stop ventilation - გამორთეთ ვენტილაცია;

Prepare the fire-fighting equipment - მოამზადეთ ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა;

Fire party, proceed to the scene - სახანძრო ჯგუფი გაემართოს შემთხვევის ადგილზე;

Shut off the fuel supply - გადაკეტეთ საწვავის მიწოდება;

Report when the fire is under control - შეატყობინეთ, როდესაც ხანძარი კონტროლს დაექვემდებარება

გემის მიტოვება: კაპიტანი გემს ყველაზე ბოლოს ტოვებს, თან მიაქვს ჟურნალები, რუკები და ბევრი სხვა მნიშვნელოვანი რამ.

გემის მიტოვების დროს გასცემს შემდეგ ბრძანებებს:

Prepare to abandon ship - მოემზადეთ გემის დასატოვებლად;

Muster at your assigned stations - შეიკრიბეთ თქვენთვის განსაზღვრულ ადგილებზე;

Prepare the lifeboats - მოამზადეთ სამაშველო ნავები;

Lower the lifeboats - ჩაუშვით სამაშველო ნავები;

Embark the lifeboats - ჩასხედით სამაშველო ნავებში;

Abandon Ship - დატოვეთ გემი;

Remain calm - შეინარჩუნეთ სიმშვიდე.

კაპიტნის რეალური ბრძანებების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს და შეუძლებელიცაა ერთ სტატიაში მათი ჩამოთვლა. ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რამდენად ფრთხილად და ორგანიზებულად მოქმედებს იგი საგანგებო სიტუაციების დროს.

მასთან ასოცირდება შემდეგი ნიშან-თვისებები: განათლებული, თავისი საქმის კარგი მცოდნე, შორსმჭვრეტელი, მკაცრი და მომთხოვნი, სამართლიანი, გულისხმიერი და კეთილი. კაპიტანი უნდა იყოს ფრთხილი და ყურადღებიანი, მისი მოვალეობების ჩამონათვალში პირდაპირაა მითითებული, რომ მან განსაკუთრებული მონდომებით და ყურადღებით უნდა გათვალოს გემის კურსი, რომლის შეცვლის უფლება არავის აქვს.

თუ სიგნალი სხვა გემიდან არის მიღებული: დახმარების ორგანიზება: დაუყოვნებლივ აწყობს სამაშველო ოპერაციებს, ცვლის კურსს და მიდის საშველად, თუ ეს უსაფრთხოა მისი ეკიპაჟისთვის.

კომუნიკაციები: ადასტურებს სიგნალის მიღებას და კოორდინაციას უწევს მოქმედებებს ნაპირზე დაფუძნებულ სამძებრო-სამაშველო სამსახურებთან. კაპიტანი ყველანაირ ზომებს ღებულობს თავიდან აიცილოს გემის დაკავება - დაპყრობა მტრისგან ომის პერიოდში და მეკობრეებისგან მშვიდობიან პერიოდში.

ნაპირთან მიახლოებისას უსაფრთხოების წესები უნდა გააორმაგოს. არც ლოცმანის ამოსვლის დროს მცირდება კაპიტნის პასუხისმგებლობა უსაფრთხო ცურვისა, მიუხედავად იმისა, რომ ბრძანებებს ლოცმანი გასცემს.

სხვა გემთან შეჯახების საშიშროების შემთხვევაში გარკვეულად, სწრაფად და არაორაზროვნად უნდა მოქმედებდეს: პირადად უნდა აცნობოს მეორე გემს თავისი გემის სახელწოდება, დანიშნულების პორტი, გემის კურსი და ადგილმდებარეობა და პასუხად თავადვე უნდა მიიღოს იგივე მონაცემები. წინააღმდეგ შემთხვევაში გემის დაღუპვა გარდაუვალია. იგი ჯერ იღებს ზომებს მგზავრთა გადასარჩენად, სამაშველო ნავებში უნდა გადასხას ჯერ ქალები და ბავშვები, მოხუცები და ავადმყოფები, შემდეგ ეკიპაჟის წევრებს აძლევს უფლებას დატოვონ ბორტი და ბოლოს თავად ტოვებს გემს, თან მიაქვს ჟურნალები (საგემბანო და სამანქანო), რუკები, დოკუმენტები და ფარული დოკუმენტაცია, გემზე არსებული ფული. ყველაზე არასასიამოვნო მოვალეობაა დაღუპულის გარდაცვალების დამოწმება, მიიღოს გადაწყვეტილება მიიტანოს გვამი პორტში თუ დამარხოს ზღვაში. ე.ი. კაპიტანი ითავსებს ნოტარიუსის უფლებებსაც.

Collision -შეჯახება:

Stop the engines - გააჩერეთ ძრავები;

Close the watertight doors - დახურეთ წყალგაუმტარი კარები;

Check damage - შეამოწმეთ დაზიანება;

Report any flooding - შეატყობინეთ ნებისმიერი დატბორვის შესახებ;

Prepare the damage- control equipment - მოამზადეთ დაზიანების კონტროლის აღჭურვილობა;

Stand by further orders - დაელოდეთ შემდგომ ბრძანებებს.

კაპიტნობა ოდითგანვე მამაკაცების თანამდებობად ითვლებოდა, ეს გენდერობა უცვლელი იყო, თუმცა... თანდათან მატულობს სუსტი სქესის წარმომადგენელთა რიცხვი, რომლებიც კაპიტნის თანამდებობაზე გადიან. საზღვაო აკადემიაში საგრძნობლად მოიმატა გოგონა სტუდენტების რიცხვმა, რომლებიც მზად არიან კაპიტნობისთვის.

ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე განსჯის საგანია, არის თუ არა ქალის ადგილი ხიდურაზე, თუ რამდენად შესაფერისი თანამდებობაა კაპიტნობა ქალისთვის. ვინ როგორ ჩათვლის, მაგრამ ჩემი აზრით თუკი არის ქალი-პრეზიდენტი, ქალი-პრემიერი, ქალი-კოსმონავტი და ა.შ. რატომაც არა ქალი-კაპიტანი? ეს თავად პიროვნების გადასაწყვეტია, დაუკავშიროს ბედი ზღვას თუ არა, როგორ შეუთავსებს თავის ქალურ, დედობრივ როლს ოჯახში იმ დიდ საზღვაო საქმეს, რომელსაც შეეჭიდა. ხვედრი მძიმეა, მაგრამ თავიანთი ძალის დასამტკიცებლად მაინც მიდიან ამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, დასტურად იმისა, რომ ნამდვილად არიან ამ ამაყი პროფესიის ღირსნი.

დღესდღეობით ბევრი ქალი კაპიტანია, რომლებიც საკმაოდ სოლიდურ გემებს მეთაურობენ.

ძველ დროში ქალები გემზე მეკობრეებსაც ჰყავდათ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ბრეის ო ნეილი (ბარკი), ყველაზე ცნობილი ქალი-ფლიბუსტიერი (საზღვაო კონტრაბანდისტი და ყაჩაღი) ირლანდიიდან, დედოფალ ელიზავეტა პირველის მმართველობის დროს.

მსოფლიოში პირველ ქალ-კაპიტნად ითვლება ანა შტენინა, რომელიც თვლიდა, რომ „ქალს გემზე და განსაკუთრებით ხიდურაზე ადგილი არ აქვს“, მაგრამ მსოფლიოში იცვლება შეხედულებები და თანამედროვე ქალბატონები წარმატებით ამტკიცებენ, რომ მათი ადგილი ნამდვილად არის გემზე.

ჩამოგითვლით ზოგიერთ მათგანს: გენუელი ლაურა პინასკო - 2008 წელს 30 წლის ასაკში დაინიშნა კაპიტნად მსოფლიოში უდიდეს მსხვილფეხა პირუტყვმზიდზე; ამერიკელი რობინ ესპინოზა მართავს უდიდეს გემს “Horizon Navigator”; შვედი ქალი კატრინ სტარ იანსონი მართავს უდიდეს საკრუიზო ლაინერს; ბელგიელი ქალი, როგე მართავს უდიდეს ტანკერს გაზმზიდს(LPG); რუსი ლუდმილა ტიბრიაევა, პირველი ქალი

კაპიტანი სახალინის საზღვაო სანაოსნოში; პირველი მსოფლიოში ქალი კაპიტანი ჯოზი კურტცი, კანადის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდის მეთაური; სომალელ მეკობრეებს აყვანილი ჰყავდათ მძევლად თურქი აისუნ აქბაი, ქალი-შტურმანი თურქული ბალკერმზიდისა "Horizon-1", დატყვევებისას ისე მამაცურად იქცეოდა, რომ მისცეს უფლება ყოველდღე დაერეკა სახლში, მაგრამ მან უარი განაცხადა პრივილეგიაზე და უპასუხა ,რომ დარეკავს, როგორც დანარჩენი ტყვეები.

ხალხმა შეიყვარა კაპიტანი და მისი გმირი. ბევრ ფილმსა თუ ნაწარმოებში შთაბერა სული და გააცოცხლა მისი სახელის უკვდავსაყოფად. აი ზოგიერთი მათგანი:

„ორი კაპიტანი"; „კარიბის ზღვის მეკობრეები";; „კაპიტანი ფილიპსი"; „ადმირალი იამატო"; „72 მეტრი"; „განძთა კუნძული"; „კაპიტანი ნემო"; „მეოცე საუკუნის მეკობრეები"; „სამნი ნავში" და უამრავი სხვა ქმნილებები, რომლებიც ასახავენ კაპიტანთა მძიმე ხვედრს, და არა მარტო კაპიტანთა...

ხალხმა თავისი შეხედულებები კაპიტანზე, როგორც საზღვაო იერარქიის მწვერვალზე მყოფ ადამიანზე ანდაზებშიც ასახა:

„არც გემია კაპიტნის გარეშე და არც კაპიტანია გემის გარეშე";

„ზღვაში გემი კაპიტანს ეკუთვნის";

„გემზე იგი კაპიტანია და ხმელეთზე კი სულთანი";

„კაპიტანი შტორმის დროს ამოიცნობა";

„ისწავლე მატროსო, კაპიტანი გახდები";

„კაპიტანიც ისაა, ვინც გემს გადაარჩენს";

„ერთი მოხუცი კაპიტანი სამ ახალგაზრდა კაპიტანს სჯობია";

„გემზე ყოფნისას კაპიტანს არ ეჩხუბო"'

„კაპიტანი უფროსია გემზე არა იმიტომ, რომ უფრო მოხუცია, არამედ იმიტომ, რომ უფრო გამოცდილი და ჭკვიანია".

დასკვნა

ამგვარად, კაპიტნის კონცეფცია ცენტრალურ ადგილს იკავებს საზღვაო კომუნიკაციაში და ასახავს არა მხოლოდ პროფესიულ ავტორიტეტს, არამედ კულტურული, სოციალური და ენობრივი ღირებულებების რთულ ერთობლიობას. კაპიტნის ბრძანებები

წარმოადგენს არა მხოლოდ ენობრივ კონსტრუქციებს, არამედ საზღვაო საზოგადოების იერარქიული სტრუქტურისა და პროფესიული კულტურის გამოვლინებებსაც.

კაპიტანი შეიძლება ჩაითვალოს მნიშვნელოვან პროფესიულ და ლინგვოკულტურულ კონცეფციად, რომლის მნიშვნელობა სცილდება თანამდებობაზე მყოფი ინდივიდის ფარგლებს. ის განასახიერებს საზღვაო პროფესიის ტრადიციებს, ღირებულებებს, პასუხისმგებლობებსა და კომუნიკაციის პრაქტიკას. შესაბამისად, კაპიტანსა და ეკიპაჟს შორის ეფექტური კომუნიკაცია აუცილებელი პირობაა გემზე უსაფრთხოების, დისციპლინისა და წარმატებული თანამშრომლობის შესანარჩუნებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. A Guide to Maritime English. Zurab BeJanovi. Batumi. 2010.
2. Wikipedia Contributors (2025). Captain. Wikipedia. Wikimedia Foundation.
3. Женщины-капитаны морских судов – Журнал „ Морской вестник“; 2014., стр:78-83
4. IMO- Standard Marine communication Phrases (SMCP), 2005 Edition, publication code IA-987 E/F/S.
5. SOLAS, Chapter III- Life-saving appliances and arrangments, regulation 37-Muuster list and emergency instructions.
6. Sampson, H. (2021). The Rhythms of Shipboard Life: Work, Hierarchy, Occupational Culture and Multinational Crews. In: Gekara, V.O., Sampson, H. (eds) The World of the Seafarer. WMU Studies in Maritime Affairs, vol 9. Springer, Cham. https://doi.org/10.1007/978-3-030-49825-2_8
7. Quist, L.-M., Virtanen, M. J., Valdez Banda, O. A., & Hukkinen, J. I. (2026). Masculinity, humour and the making of maritime infrastructure: An ethnography aboard an icebreaker. The Sociological Review. https://doi.org/10.1177/00380261261432345
8. Borja di Filippo, A., Sánchez Rojas, D., Bartuseviciene, I., & Calderon-Rivera, N. (2026). Workplace environment, gender inclusion, and perceived well-being among women seafarers: An ecological mixed-method study. INQUIRY: The Journal of Health Care Organization, Provision, and Financing, 63. https://doi.org/10.1177/00469580261428378

The Role of the Captain in the Maritime Hierarchy

Medea Imnadze

PhD, Assistant Professor, Batumi State Maritime Academy

Abstract

The paper is devoted to the study of the role and status of the captain in the maritime hierarchy. In the maritime sphere, the captain is the highest-ranking responsible officer of the ship, whose professional activities relate to the safe management of the ship, the leadership of the crew, and decision-making. The study aims to determine the main functions, powers, and responsibilities of the captain in the maritime hierarchical system and to discuss his role in the context of professional communication and crew relations. The study is based on the analysis of regulatory and professional documents in the maritime sphere, as well as relevant material from maritime discourse. Special attention is paid to the captain's leadership function, the authority to issue orders, the coordination of crew activities, and decision-making in critical situations. The study shows that the role of the captain is not limited to administrative and professional functions and to a large extent determines the formation of hierarchical relations, discipline, and effective professional communication on board the ship.

Key words: The captain/The Master; marine communication; leadership; command/orders; responsibility.